ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 29 დეკემბრის სხდომის

ოქმი №13

სხდომას ესწრებოდა: 31 წევრიდან – 17.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

2. ცვლილება "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელ ხარისხში
   მომხს: რ. ჯორბენაძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

3. ცვლილება ფაკულტეტის საატესტაციო კომისიაში
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

4. 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებისა და საკონკურსო კომისიის შესახებ
   მომხს: ვ. მელიქიძე, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო, 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის პროექტი, რომელიც შემუშავდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 24 დეკემბრის MES 5 15 01336683 წერილის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს: დ. ოსეფაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარი და ეთხოვოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დასამტკიცებლად თსუ–ს აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა (თან ერთვის).

მოისმინეს: 2. ცვლილება "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელ ხარისხში სხდომის წევრებს წარუდგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ.

აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, თ. დოლბაიამ, დ. ოსეფაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შემდეგნაირად – "სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში".

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის საატესტაციო კომისიაში ცვლილების აუცილებლობაზე ისაუბრა თ. დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: ა. ბერძენიშვილმა, რ. ჯორბენაძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის წევრად შეყვანილ იქნეს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო ჭალაგანიძე.

მოისმინეს: 4. 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების შესახებ ისაუბრა ვ. მელიქიძემ, ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ. მან დამსწრეთ გააცნო თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება №39/04, 23.12.2015

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ნ. პავლიაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, ა. კუხიანიძემ, ნ. დურგლიშვილმა, ტ. ირემაძემ და სხვ.

დაადგინეს:

1) 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებისას ფაკულტეტმა იხელმძღვანელოს თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებისა (№39/04, 23.12.2015) და ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 29 იანვრის №1 ოქმით დამტკიცებული წესით.

2) დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემფასებელი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1. ვ. მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე
   2. ზ. დავითაშვილი - პროფესორი
   3. ა. კუხიანიძე - პროფესორი
   4. გ. კაკაურიძე - სტუდენტი
   5. რ. ჯორბენაძე - პროფესორი
   6. ნ. ჭალაგანიძე – ასისტენტ პროფესორი
   7. თ. მატარაძე – ასისტენტ პროფესორი, კომისიის მდივანი

3) დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიმღები აპარატი შემდეგი შემადგენლობით:
   1. ნინო ოსეფაშვილი - უფროსი სპეციალისტი
   2. თეა ვახანია – ფინანსური ოფიცერი
   3. ასმათ ახალაძე – კანცელარიის უფროსი
4) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩაბარების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 1 თებერვლით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია,

ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. დურგლიშვილი, ნ. დურგლიშვილი

ასოცირებული პროფესორი

29 დეკემბერი, 2015

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. სერგი კაპანაძე
9. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

14. მარიამ გერსამია
15. დალი ოსეფაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია
22. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

23. რევაზ ჯორბენაძე
24. ნოდარ ბელქანია

სტუდენტური თვითმმართველობა

25. შალვა საბაური
26. გიორგი კაკაურიძე
27. თორნიკე ცინაძე
28. მაგდა გიბიშვილი
29. მაჭავარიანი დავით
30. გვანცა გავაშელი
31. ტარიელ ირემაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
**განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 5 15 01336683

24/12/2015

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს,**
**(მის.: 0179, ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №1,**
**e-mail rectror@tsu.ge; ტელ.: 577 97 02 05)**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შემოვიდა თქვენი 2015 წლის 14 დეკემბრის №2315/01-01-03-06 წერილი (ცენტრში რეგისტრაციით – №1303911, 14.12.2015) 2016-2017 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მიღების მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის (შემდგომში - ანკეტა) შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი წერილის თანდართულ ანკეტის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში აბიტურიენტთა მიღება ცხადდება ერთიანი საფაკულტეტო მიღებით საგანმანათლებლო პროგრამებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" (შემდგომში - დებულება) მე-13 მუხლით რეგულირდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აბიტურიენტთა მიღების გამოცხადების ნორმები, რომლის თანახმად, სასწავლო წლის დასაწყისში მომდევნო სასწავლო წლისათვის საგანმანათლებლო დაწესებულება აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას **საგანმანათლებლო პროგრამაზე.** აბიტურიენტთა მიღების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულება აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის 15 დეკემბრამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარადგენს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს. ანკეტის ფორმა მტკიცდება გამოცხდების ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ანკეტაში სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებული უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებზეც მოხდება აბიტურიენტთა მიღება და თითოეულ მათგანზე ადგილების რაოდენობა. დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია აბიტურიენტთა რეგისტრაციის წესი, რომლის მე-7 მუხლის „ზ.გ" ქვეპუნქტის იმ აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების **საგანმანათლებლო პროგრამის საიდენტიფიკაციო კოდი,** სადაც მას სურს სწავლის გაგრძელება;

დებულების 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებიდან გამომდინარე, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, საგნობრივი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, **აკადემიურ პროგრამაზე** აბიტურიენტთა განაწილების მიზნით ქმნის კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს. რანჟირების დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად აბიტურიენტების **საგანმანათლებლო პროგრამებზე** განაწილების შესახებ. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა ხდება აბიტურიენტთა შესაბამისი რანჟირების დოკუმენტების საფუძველზე. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია **შ**

**ესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს აბიტურიენტები და** გააფორმოს მათთან ხელშეკრულებები.

დებულებით დამტკიცებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი გრანტით დაფინანსების წლიური მოცულობა განაწილდება **აკა დემიური პროგრამების** შესაბამისად.

ამგვარად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აბიტურიენტთა მიღების მიზნით, ხდება აბიტურიენტთა მიღების გამოცხადება **საგანმანათლებლო პროგრამაზე.** სტუ დენტი რეგისტრირდება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფეძველზე, სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებს და შემდგომ ირიცხება დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე. გრანტის განაწილების პრინციპიც საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს უკავშირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანკეტაში ადგილების რაოდენობის გამოცხადება უნდა მოხდეს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის, და არა ფაკულტეტის (გაერთიანებული პროგრამების) მიხედვით.

დებულების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული გარემოება და უმოკლეს დროში (დებულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით, რათა არ დაირღვეს ხარისხის ცენტრის მიერ გამოცდების ცენტრისათვის ინფორმაციის მიწოდების ვადები) უზრუნველყოთ ცენტრში სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესაბამისად.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ მახარაშვილი

თ. მახარაშვილი

დანართი #1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

# ნიმუში

| | |
|---|---|
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი: | |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: | |
| ფაქტიური მისამართი და ტელეფონი | |
| ვებგვერდი | |
| ელ.ფოსტა | |
| საკონტაქტო პირი (გვარი,სახელი,ტელეფონი,ელ.ფოსტა) | |
| სპეციალური პირობები აბიტურიენტებისთვის | |
| ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ | |

| აკადემიური პროგრამის დასახელება | აქვს თუ არა პროგრამა აკრედიტაცია | მისანიჭებელი კვალიფიკაცია | სწავლების ენა | კრედიტების რაოდ. | წლიური გადასახადი | ადგილების რაოდ. | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | სამოქალაქო განათლება | შემოქმედებითი ტური | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | |
| სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| საზოგადოებრივი გეოგრაფია | დიახ | სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში | ქართული | 240 | 2250 | **60** | 3 | 3 | 3 | | | 3 | | | | | | | 1-2-3-6 |
| | | | | | | | | | | | | 60 | | | | | | | |
| პოლიტიკის მეცნიერება | | პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი | ქართული | 240 | 2250 | **70** | 3 | 3 | 3 | | 3 | 3 | | | | | 3 | | 1-2-3-5/6/11 |
| | | | | | | | | | | | 30 | 30 | | | | | 10 | | |
| სოციალური მუშაობა | | სოციალური მუშაობის ბაკალავრი | ქართული | 240 | 2250 | **40** | 3 | 3 | 3 | | 3 | | | | | | 3 | | 1-2-3-5/11 |
| | | | | | | | | | | | 30 | | | | | | 10 | | |
| სოციოლოგია | | სოციოლოგიის ბაკალავრი | ქართული | 240 | 2250 | **70** | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | | | | | | 3 | | 1-2-3-4/5/11 |
| | | | | | | | | | | 30 | 30 | | | | | | 10 | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საერთაშორისო ურთიერთობები | დიახ | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი | ქართული | 240 | 2250 | 60 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 10 | 25 | 25 | | | | | | | | | 3-2-1-4/5/6 |
| ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია | დიახ | სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი | ქართული | 240 | 2250 | 60 | 3 | 3 | 3 | | 3 | 3 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 30 | 30 | | | | | | | | | 1-2-3-5/6 |
| ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია | დიახ | სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი | ქართული-რუსული | 240 | 2250 | 20 | 3 | 3 | 3 | | 3 | 3 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 10 | 10 | | | | | | | | | 1-2-3-5/6 |

სულ 380 ადგილი

**ანკეტის შევსების თარიღი: 29 დეკემბერი, 2015** **რექტორი** **ბ.ა.**

შენიშვნა:

მიუხედავად იმისა, თუ რომელ ევროპულ უცხო ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) ფაკულტეტზე მოხვედრილ ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.

შენიშვნა:

დანართი #4

## საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ აკადემიურ და პროფესიულ პროგრამაზე მინიმალური კომპეტენციის გაზრდის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა

დებულების თანახმად მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა 20%-ით უცხო ენებისათვის და 25%-ით სხვა დანარჩენი საგნებისათვის (იმისათვის , რომ აბიტურიენტმა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მან სწორედ უნდა უპასუხოს დავალებათა საერთო რაოდენობის მითითებულ პროცენტს დამატებული ერთი). თქვენ შეგიძლიათ სურვილისამებრ გაზარდოთ მინიმალური ზღვარი ნებისმიერი საგნისათვის. ასეთ შემთხვევაში თქვენ ქვემოთჩამოთვლილ საგნებს უნდა მიუწეროთზღვარის ახალი მნიშვნელობა პროგრამების მიხედვით.

| პროგრამის დასახელება | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია. | სამოქალაქო განათლება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 40+1 | 40%+1 | 50%+1 | 30%+1 | 40%+1 | 40%+1 | | | | | 40%+1 |
| საზოგადოებრივი გეოგრაფია | | | | | | | | | | | |
| სოციოლოგია | | | | | | | | | | | |
| სოციალური მუშაობა | | | | | | | | | | | |
| პოლიტიკის მეცნიერება | | | | | | | | | | | |
| საერთაშორისო ურთიერთობები | | | | | | | | | | | |
| ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |

ანკეტის შევსების თარიღი, 29 დეკემბერი, 2015 რექტორი

ბ.ა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

# ერთობლივი ბრძანება

23.12.2015

№39/04

## სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფის და სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მაქსიმალური ჩართულობის მიზნით და „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ" და „ჰ4" ქვეპუნქტების, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" და „თ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის „ა", „ი" და „პ" ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ", „ი" და „პ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფის მიზნით 2016 წელს განხორციელდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების გზით.
2. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის დამდგენ ორგანოდ განისაზღვროს ფაკულტეტის საბჭო.

3. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 2016 წელს გამოიყოს 595000 ლარი, რაც თანაბრად განაწილდება უნივერსიტეტის ფაკულტეტებს შორის. ამასთან, თითოეულ კონკრეტულ ფაკულტეტზე განაწილებული 85000 ლარიდან არანაკლებ 75000 ლარი მოხმარდეს უშუალოდ ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელ სამეცნიერო - კვლევით სამუშაოებს, ხოლო არაუმეტეს 10000 ლარი გამოყენებულ იქნას ინტერდისციპლინური კვლევების განსახორციელებლად თსუ-ის სხვა ფაკულტეტთან/ფაკულტეტებთან ერთად, რაც განხორციელდეს ასევე კონკრეტული ფაკულტეტის ადმინისტრირებით (პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს კონკრეტული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი).

4. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში 2016 წელს განსახორციელებელი კონკრეტული სამეცნიერო კვლევის (პროექტის) დაფინანსება მოხდეს მხოლოდ კონკურსის საფუძველზე, რომლის პირობებსა და ჩატარების წესს ადგენს ფაკულტეტის საბჭო წინამდებარე ბრძანების დებულებების გათვალისწინებით. ერთი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 20000 ლარს უშუალოდ ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის და 10000 ლარს - ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის.

5. თითოეულ პროექტში სავალდებულოა უნივერსიტეტის არანაკლებ 2 სტუდენტის (პროექტის წარდგენისა და დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის არანაკლებ 150 კრედიტის მქონე და არანაკლებ 3.0-ის რეიტინგის მქონე სტუდენტი ან მაგისტრატურისა ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი) ჩართულობა. ამასთან, ინტერდისციპლინური სამეცნიერო - კვლევითი პროექტებისათვის სავალდებულოა პროექტში ჩართული თითოეული ფაკულტეტიდან არანაკლებ 1 სტუდენტის (პროექტის წარდგენისა და დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის არანაკლებ 150 კრედიტის მქონე და არანაკლებ 3.0-ის რეიტინგის მქონე სტუდენტი ან მაგისტრატურისა ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი) და არანაკლებ 1 აკადემიური პერსონალის ჩართულობა.

6. დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.

7. პროექტი მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაღვრება 2016 წლის 20 დეკემბრამდე. პროექტი დასრულებულად ჩაითვლება ფინანსური და პროგრამული ანგარიშის ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენის საფუძველზე. პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მიმღებმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენა.

8. პროექტში ჩართული პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ან/და ასისტენტ- პროფესორის ჯამური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30 %-ს.

9. პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად, პრინციპით: პირველი ტრანში - არაუმეტეს 40%-ისა, მეორე ტრანში - არაუმეტეს 50% - ისა 6 თვის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე, მესამე ტრანში - არაუმეტეს 10%-ისა პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ.

10. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

11. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.

12. ბრძანება ძალაში შევიდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან (გაცნობიდან) 1 თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

რექტორი, პროფესორი — აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

ბრძანებებისათვის
FOR ORDERS

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — დავით ჩომახიძე

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა

**ზოგადი ინფორმაცია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის შესახებ**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის N22/04 (30.12.2014) ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფის მიზნით, 2015 წელს უნდა განხორციელდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში კონკრეტული სამეცნიერო კვლევის (პროექტის) დაფინანსება მოხდება კონკურსის საფუძველზე. ფაკულტეტისთვის გამოყოფილია 75 000 ლარი. ერთი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 20.000 ლარს. დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.

მოთხოვნა საპროექტო წინადადების წარდგენის შესახებ

1. კონკურსის პირობები:

1. პროექტის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს ფაკულტეტის ძირითად სასწავლო მიმართულებებს.

2. პროექტში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს.

3. კონკურსში განაცხადის შემოტანის უფლება აქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, ასოცირებულ ან/და დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ-პროფესორს.

4. სავალდებულოა პროექტში ფაკულტეტის არანაკლებ 2 სტუდენტის ჩართვა. პროექტის მონაწილე სტუდენტი შეიძლება იყოს აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის არანაკლებ 150 კრედიტისა და არანაკლებ 3.0 GPA-ის რეიტინგის მქონე სტუდენტი, ან/და მაგისტრატურისა, ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი.

5. საპროექტო წინადადებები, რომლებიც არ იქნება წარმოდგენილი დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისად ან შეიცავს არასწორ ინფორმაციას, კომისიის მიერ არ განიხილება.

6. პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენა.

2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერა:

პროექტი უნდა იყოს მომზადებული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2.1. თავფურცელი: თავფურცელი უნდა იყოს შევსებული საპროექტო წინადადების ფორმა #1-ის მიხედვით და უნდა შეიცავდეს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სახელწოდებას ქართულ და ინგლისურ ენაზე, პროექტის აბსტრაქტს (მაქსიმუმ 100 სიტყვა), პროექტის ხელმძღვანელის სახელსა და გვარს, მის აკადემიურ სტატუსსა და პროექტის ბიუჯეტს.

2.2. პროექტის შინაარსობრივი ნაწილი (ფორმა #2) უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან:

2.2.1. პრობლემის დასმა (არსებული სიტუაციის ანალიზი) (300-600 სიტყვა): უნდა დასაბუთდეს საკვლევი პრობლემის აქტუალობა და სამეცნიერო ღირებულება საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მიღწევების გათვალისწინებით.

2.2.2. მიზანი და მოსალოდნელი შედეგები (300-600 სიტყვა): უნდა გამოიკვეთოს რა მოსალოდნელი შედეგ(ებ)ი ექნება პროექტს სამეცნიერო დისკუსიის წამოწყების, ან განვითარებისათვის, სასწავლო მასალის და სასწავლო პროცესის გამდიდრებისათვის, ან ზოგადად საზოგადოებაში საკვლევი თემის აქტუალიზაციისათვის. პროექტს უნდა დაერთოს სავარაუდო ჟურნალთა ჩამონათვალი, სადაც ჯგუფი პუბლიკაციის გამოქვეყნებას გეგმავს.

2.2.3 განხორციელების გზები (600-1200 სიტყვა):

ა) მეთოდოლოგია: უნდა აღიწეროს სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომები და გამოყენებული მეთოდები;

ბ) აქტივობები: უნდა აღიწეროს კონკრეტულად რა სამუშაოები/აქტივობები განხორციელდება პროექტის მიზნ(ებ)ის მისაღწევად და მიეთითოს შემსრულებელი პირის/პირების ვინაობა, რომელთა კომპეტენციები უნდა შეესაბამებოდეს მათ მიერ განსახორციელებელ აქტივობებს.

2.3 პერსონალი (ფორმა #3): უნდა მიეთითოს პროექტში ჩართული პირების პოზიცია ფაკულტეტზე და პროექტში. პროექტს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი (ფაკულტეტის

პროფესორი, ასოცირებული ან/და დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ-პროფესორი), რომელიც იქნება პასუხისმგებელი პროექტის როგორც ფინანსური, ასევე პროგრამული ანგარიშების მომზადებასა და მიმდინარეობაზე.

**2.4. პროექტის ბიუჯეტი (ფორმა #4)**: პროექტის ბიუჯეტი უნდა იყოს წარმოდგენილი ლარებში და არ უნდა აღემატებოდეს 20.000 ლარს.

პროექტში ჩართულ პროფესორთა შრომის ჯამური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30%-ს. პროექტის ფარგლებში ინვენტარის, ლიტერატურისა და საკანცელარიო ნივთების შეძენა ხორციელდება თსუ-ს შესყიდვების სამსახურის მიერ. პროექტის ფარგლებში შეძენილი ინვენტარი და ლიტერატურა პროექტის დასრულების შემდეგ გადადის ფაკულტეტის ბალანსზე.

პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად. **პირველი ტრანში** - 40%; **მეორე ტრანში** - 50%, რომელიც ჩაირიცხება პირველი ტრანშის დასრულების შემდეგ ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე; **მესამე ტრანში** - 10%, პროექტის საბოლოო ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე.

**2.5. სამუშაო გეგმა (ფორმა #5)** წარმოდგენილი უნდა იყოს თვეების მიხედვით. უნდა აისახოს ყოველი თვის განმავლობაში განსახორციელებელი სამუშაოები/აქტივობები. პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 9 თვე (2015 წლის 15 მარტიდან 15 დეკემბრის ჩათვლით).

**2.6. ტექნიკური დიზაინი:** საპროექტო წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი შრიფტით Sylfaen, ზომა 11, 1.5 ინტერვალი, ველი სტანდარტული (1 პუნქტი, ანუ 2.54 სმ. ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ).

**2.7. დანართები:**

1. მონაწილეთა რეზიუმეები;

2. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ; ბაკალავრიატის სასწავლო საფეხურზე მყოფი სტუდენტისათვის ცნობა სტატუსის, GPA-სა და კრედიტების რაოდენობის შესახებ;

3. ბიბლიოგრაფია (APA სტილი);

4. სხვა/დამატებითი ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ (არააუცილებელი კომპონენტი).

**3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების პროცედურები, კრიტერიუმები და ვადები:**

პროექტის შეფასებისათვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება საკონკურსო კომისია. კომისიაში თითოეული მიმართულებიდან წარმოდგენილი იქნება

1 წევრი და დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში. შეიქმნება აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს საბუთების მიღებას და სამეცნიერო-კვლევითი პროექტით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციის გაწევას.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

| # | კრიტერიუმი: | კრიტერიუმის წონა |
|---|---|---|
| 1. | საკვლევი თემის აქტუალობა | 10% |
| 2. | სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მეცნიერული ღირებულება და ინოვაცია | 25% |
| 3. | ბიუჯეტი | 20% |
| 4. | მეთოდოლოგია | 20% |
| 5. | აქტივობები, მათი განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის გათვალისწინებით | 25% |
| | ჯამი: | 100% |

## საპროექტო წინადადება

პროექტის სახელწოდება (*ქართულად*):

პროექტის სახელწოდება *(ინგლისურად*):

პროექტის ხელმძღვანელი *(სახელი გვარი, აკადემიური სტატუსი)*

პროექტის აბსტრაქტი *(მაქსიმუმ 100 სიტყვა)*

პროექტის ბიუჯეტი: --------- (*ლარი*)

*ფორმა #2*

## პროექტის შინაარსობრივი ნაწილი

1. პრობლემის დასმა *(300-600 სიტყვა):*

2. პროექტის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები *(300-600 სიტყვა):*

3. პროექტის განხორციელებლის გზები *(600-1200 სიტყვა):*

3.1 მეთოდოლოგია:

3.2 აქტივობები:

*ფორმა #3*

პერსონალი:

| | სახელი და გვარი | აკადემიური სტატუსი | პოზიცია პროექტში |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

*ფორმა #4*

## ბიუჯეტის ფორმა

| | ხარჯვის კატეგორია | ერთეულის ფასი | ერთეულის სახეობა | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ჯამური ღირებულება | 1 ტრანში 40% | 2 ტრანში 50% | 3 ტრანში 10% | ტრანშების ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პერსონალის შრომის ანაზღაურება | | | | | | | | |
| 1.1 | პროფესორის შრომის ანაზღაურება ( 30%) | | | | | | | | |
| 1.1.1 | | | | | | | | | |
| 1.1.2 | | | | | | | | | |
| 1.2 | პროექტის სხვა მონაწილეების ანაზღაურება (პუბლიკაციის თარგმნა და რედაქტირება) | | | | | | | | |
| 1.2.1 | | | | | | | | | |
| 1.2.2 | | | | | | | | | |
| 2 | მივლინება | | | | | | | | |
| 2.1 | მივლინება ქვეყნის შიგნით | | | | | | | | |
| 2.1.1 | მგზავრობის ხარჯი | | | | | | | | |
| 2.1.2 | მივლინების დღიური ნორმისა და საცხოვრებელი ხარჯი | | | | | | | | |
| 2.2 | მივლინება ქვეყნის გარეთ | | | | | | | | |
| 2.2.1 | მგზავრობის ხარჯი | | | | | | | | |
| 2.2.2 | მივლინების დღიური ნორმისა და საცხოვრებელი ხარჯი | | | | | | | | |
| 3 | საქონელი და მომსახურება | | | | | | | | |
| 3.1 | ინვენტარის/ტექნიკის და საკანცელარიო ნივთების შეძენის ხარჯი (500 ლარზე ნაკლები ღირებულებით) | | | | | | | | |
| 3.2 | პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარჯები (გამოქვეყნების ხარჯი) | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.3 | სტატისტიკური ინფორმაციის შესყიდვის ხარჯები | | | | | | | | |
| 3.4 | პროექტის სხვა მონაწილეების დაფინანსება<br>(მგზავრობის და დღიური ხარჯებით) | | | | | | | | |
| 4 | **ძირითადი აქტივები**<br>(500 ლარზე მეტი ღირებულების ინვენტარი.) | | | | | | | | |
| 4.1 | კომპიუტერული ტექნიკა | | | | | | | | |
| 4.2 | ლიტერატურა | | | | | | | | |
| ბიუჯეტის ჯამი | | | | | | | | | |

*ფორმა #5*

## პროექტის სამუშაო გეგმა

| # | აქტივობის ტიპი | განმახორციელე-ბელი პირები | I თვე | II თვე | III თვე | IV თვე | V თვე | VI თვე | VII თვე | VIII თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | | | | | | |
| 2. | | | | | | | | | | |
| 3. | | | | | | | | | | |
| 4. | | | | | | | | | | |
| 5. | | | | | | | | | | |
| 6. | | | | | | | | | | |